ომის სივრცეების განსახოვნება პოსტსაბჭოთა ქართული და უკრაინული პროზის მიხედვით

(გურამ ოდიშარიას, დეა ცუცქირიძის, სერგეი ლოიკოს და სერჰი ჟადანის ნაწარმოებების მიხედვით)

თამარ სიხარულიძე

უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
(შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ცირა კილანავა, ასისტენტ-პროფესორი

(ქართული ფილოლოგიისა და ლიტერატურისმცოდნეობის მიმართულებით)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოუქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ სიხარულიძე

28.06.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია თანამედროვე ქართველი და უკრაინელი ავტორების ორი-ორი რომანი: *გურამ ოდიშარიას "სოხუმში დაბრუნება" (1995), დეა ცუცქირიძის "ჯარისკაცი"(2012), სერგეი ლოიკოს "აეროპორტი" (2016) და სერჰი ჟადანის "ინტერნატი" (2020).* ნაწარმოებები შეირჩა საერთო თემატიკის მიხედვით და პოლიტიკური კონტექსტის მსგავსების საფუძველზე.

ნაშრომის მიზანია, შედარებითი ანალიზის გზით აჩვენოს, როგორაა განსახოვნებული ომის სივრცეები დასახელებულ ტექსტებში. კვლევა ეყრდნობა პოსტკლასიკური ნარატოლოგიის კონცეპტებს სივრცის აღწერისა და ლანდშაფტის იმაგოლოგიის მიმართულებებით. ნაშრომში მიმოხილული ორი ქართველი და ორი უკრაინელი მწერლის რომანებზე დაყრდნობით გამოთქმულია ვარაუდი, რომ მათში აღწერილ ან ნახსენებ ომის სივრცეებს შორის იქნება არაერთი მსგავსება, რაც გამოწვეული უნდა იყო საერთო მტრის არსებობით.

კვლევის შედეგად დადასტურდა გამოთქმული ჰიპოთეზის მართებულობა. ტექსტებში განსახოვნებულია კონკრეტულად ის ადგილები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ქალაქების დაბომბვისას, ესენია: აეროპორტი, საზღვარი (როგორც რეალური, ასევე _ ხელოვნურად შექმნილი), საგუშაგოები, ბაზები, სანგრები და მრავალი სხვა. საანალიზოდ შერჩეულ მხატვრულ ტექსტებში სივრცითი ერთეულები კლასიფიცირებულია განსახოვნების მოდელის მიხედვით (სახელდებულია თუ აღწერითია თითოეული მათგანი). სივრცის ფენომენის კვლევა საშუალებას იძლევა, დადგინდეს, საერთო ისტორიულ მტერთან სამხედრო დაპირისპირების ფონზე, რომელ გეოგრაფიულ და სტრატეგიულ სივრცეებს ასახავს შავი ზღვის აუზის ორი ქვეყნის ნაციონალური ლიტერატურა.

საძიებო სიტყვები: ომი, სივრცე, აღწერა, ქართული ლიტერატურა, უკრაინული ლიტერატურა.

Abstract

The present paper discusses two novels by contemporary Georgian and Ukrainian authors: *Guram Odisharia's "Return to Sokhumi" (1995), Dea Tsutskiridze's "Soldier" (2012), Sergei Loiko's "Airport" (2016) and Serhi Zhadan's "Boarding School" (2020)*. The works were selected according to common themes and similarities in the political context.

The aim of the paper is to show through comparative analysis how the spaces of war is distinguished in the named texts. The research is based on the concepts of postclassical narratology in the areas of space description and landscape imagology. Based on the novels of two Georgian and two Ukrainian writers reviewed in the paper, it is suggested that there would be a number of similarities between the war zones described or mentioned in them, which must have been caused by the existence of a common enemy.

The research confirmed the validity of the expressed hypothesis. The texts specifically mention the places that become especially important during the bombing of cities, such as: airports, borders (both real and artificially created), checkpoints, bases, trenches and many more. In literary texts selected for analysis, spatial units are classified according to the model of representation (each of them is named or descriptive). The study of the phenomenon of space makes it possible to determine, in the context of a military confrontation with a common historical enemy, which geographical and strategic spaces are reflected in the national literature of the two countries of the Black Sea Basin.

Keywords: war, space, description, Georgian literature, Ukrainian literature.

მადლობა

მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას იმ ხელშეწყობისთვის, რომელიც გამეწია მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში.

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ–პროფერსორს, ცირა კილანავას, გაწეული შრომისა და მხარდაჭერისთვის.